პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისი
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 262 (10348)

პარასკევი, 4 ნოემბერი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი

3 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის მეგობრობას. ორი ათასზე მეტი კაცი — დედაქალაქის საწარმოთა მუშები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები შეიკრიბნენ დარბაზში, რომელიც მორთულია ბირმის კავშირისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით. მიტინგს დაესწრნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, ბირმის მთავრობის შემსყიდველი მისიის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ პრემიერ-მინისტრ უ ნუს, ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიქოიანს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ბ. არისტოვს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ტ. შეპილოვს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. პ. ტარასოვს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. მ. პუზანოვს, სსრ კავშირის მინისტრებს, საზოგადო მოღვაწეებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოდიან.

მოკლე შესავალი სიტყვით მიტინგი გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა.

საზეიმოდ ჟღერს ბირმის კავშირისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ტრიბუნაზე ადის პრემიერ-მინისტრი უ ნუ. დარბაზში კვლავ გაისმის მქუხარე ტაში. უ ნუ ლაპარაკობს ბირმულ ენაზე.

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ქალბატონებო და ბატონებო!

უაღრესად მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს მივმართო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებსა და ხალხს. მოკლე დროში, რომელიც ჩემს განკარგულებაშია, მინდა გავაკეთო ზოგიერთი შენიშვნა მთელი მსოფლიოს მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

გასული წლის ნახევრიდან მე ვიმოგზაურე ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ყოველ ქვეყანაში, სადაც მე ვიყავი, როგორც ხელმძღვანელები, ისე ხალხი ერთნაირად ეკიდებიან მშვიდობას. საბჭოთა კავშირშიც შევხვდი ხელმძღვანელებს და ხალხს და დავინახე, რომ ისინი ერთიანი არიან თავიანთ მისწრაფებაში მშვიდობისადმი. ეს ერთიანობა სხვა არა არის რა, თუ არა საყოველთაო მისწრაფება მშვიდობისადმი. რა თქმა უნდა, საკვირველია, რომ იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო მშვიდობის მომხრეა, მის წინაშე ჯერ კიდევ არის დაბრკოლებანი მშვიდობის ძიებაში. ერთ მხარეს მიაჩნია, რომ მეორე მხარე ქმნის სამხედრო ბაზებს მთელ მსოფლიოში. მეორე მხარე აღნიშნავს შეღწევას და ძირგამომთხრელ საქმიანობას მთელ მსოფლიოში.

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ დღეს მსოფლიოში ღრმად დამკვიდრებულია შიში და ეჭვი ერთმანეთისადმი. ამ შიშისა და ეჭვის არსებობა განსაკუთრებით აძნელებს მშვიდობის ძიებას. მანამდე, სანამ ეს შიში და ეჭვი არსებობს, მშვიდობიანი თანაარსებობა მოკლებული იქნება აზრს. ამიტომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიიღოს გულწრფელი ღონისძიებანი, რათა მოსპოს ამგვარი შიში და ეჭვი. ამგვარი შიშისა და ეჭვის დროს თანაარსებობა მოგვაგონებს ორი ადამიანის კავშირს, რომლებიც ერთმანეთს ხელს ართმევენ, მაშინ როცა მათ ზურგს უკან მეორე ხელში უჭირავთ ერთს — ხანჯალი ხოლო მეორეს — რევოლვერი. ამიტომ მე მგონია, რომ მარტო მოლაპარაკებას მაღალ დონეზე და განიარაღებას ვერ მოჰყვება მშვიდობის დამყარება მთელ მსოფლიოში. მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, არსებითი წინასწარი პირობაა მშვიდობის დასამყარებლად, და ამგვარი პერიოდული კონფერენციები საჭიროა. მაშინ, როცა ერთი მხრივ ეწყობა კონფერენციები, მეორე მხრივ უნდა გადაიდგას ყველა შესაძლო ნაბიჯი სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის უფრო მჭიდრო პირადი კონტაქტის მისაღწევად. მე არა ვფიქრობ, რომ იყოს ეჭვის აღმოფხვრის უკეთესი მეთოდი, ვიდრე ხალხთა შორის მჭიდრო პირადი კონტაქტია. როცა ახალგაზრდა ვიყავი, მე ვისწავლე ინგლისური პოემა ორი ძმის შესახებ. ცალცალკე ყოფნისას თვითეული მათგანს მეორე ეშმაკად მიაჩნდა, მაგრამ, როცა დაახლოვდნენ, აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთის ძმები იყვნენ.

სწორედ ასევე ჩინელ, ინგლისელ, ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს ერთმანეთზე დამახინჯებული წარმოდგენა აქვთ შორ მანძილზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ერთმანეთს ძმებად მიიჩნევენ, როცა უფრო ახლო გაიცნობენ ერთმანეთს.

არ ვაჭარებ, როცა ვამბობ, რომ ყველაზე გულქვანიც კი მოლბებიან რამდენიმე წუთის შემდეგ, რომლებსაც გაატარებენ ულანოვებთან, ბეიბუთოვებთან, ყარა-ყარაევებთან, შოსტაკოვიჩებთან, კოზლოვსკებთან და ოისტრახებთან.

სწორედ ასევე ბევრია სხვა ქვეყნებში გრეის კელი, მარტა გრეჰემი, სენსერ ტრეისი და ოეგუდია მენუხინი, რომლებიც ყველა თქვენგანს შეაყვარებენ ამ ქვეყნების ხალხებს. რა მტრულიც უნდა ყოფილიყო ქვეყნების ურთიერთობა წარსულში, უშუალო პირადი კონტაქტი სასწაულს მოიმოქმედებს. ხალხები დაინახავენ, რომ ისინი ერთმანეთისათვის ნამდვილი ძმები არიან.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, მე პირადად ვამჯობინებ საბჭოთა ცირკს, საბჭოთა ბალეტს, საბჭოთა მომღერლებსა და მუსიკოსებს, საბჭოთა მეცნიერებს, ადამიანებს, რომლებიც გეგმავენ საბჭოთა საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებას, და საბჭოთა ხალხებს, ვიდრე საბჭოთა წიგნებს, რომელთაგან ზოგიერთი წარსულში გვაძლევდა არასწორ წარმოდგენას დიდ საბჭოთა ხალხზე. ზოგიერთი თქვენი წიგნი ზოგჯერ გვმალავს საბჭოთა ადამიანების დიდ ღირსებებს, რომლებიც მე აღმოვაჩინე, მათთან ჩემი მჭიდრო კონტაქტის დროს, და ეს წიგნები ზოგჯერ გვაიძულებდნენ შეგვედგინა თქვენზე არასასურველი აზრი.

წიგნებს, მაშინაც კი, როცა ისინი სწორ წარმოდგენას გვაძლევენ საბჭოთა ხალხზე, შეუძლიათ კარგი განწყობილება აღუძრან გულში იმ პირთა შეზღუდულ წრეს, რომლებიც ამ წიგნებს კითხულობენ. მაგრამ ცირკების, ბალეტის, ოპერის, მუსიკოსების, მომღერლების, საბჭოთა მეცნიერების, იმ ადამიანების შესაძლებლობანი, რომლებიც გეგმავენ საბჭოთა საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებას, უსაზღვროა.

ვიდრე დავამთავრებდე, ნება მიბოძეთ ძალიან მოკლედ შევაჯამო თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა ხალხზე. როგორც უკვე ეს არის ვთქვი, მე აღმოვაჩინე, რომ საბჭოთა ხალხი უაღრესად მეგობრული და სტუმართმოყვარეა. დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ მოღვაწეობას, რომელიც საბჭოთა ცხოვრების განუყოფელი ნიშანი გახდა. ბავშვებისათვის, ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის ზრუნვა სრულიად განსაკუთრებულია. საუკეთესო შენობები, ხოლო ბევრ ქალაქში ყოფილი სასახლეებიც, გადაცემული აქვთ პიონერებს მათი საგანმანათლებლო და კულტურული საჭიროებისათვის. მუსიკაში, ცეკვასა და ხატვაში მეცადინეობის წახალისება უაღრესად ფართოდ ხდება.

ჩემი მეორე ცოცხალი შთაბეჭდილება ის არის, რომ ძალიან დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერებათა სწავლებას სკოლებსა და ინსტიტუტებში. საბჭოთა ხალხი ნამდვილად ავითარებს მაღალტექნიკურ ცივილიზაციას. ინჟინრებისა და ტექნიკური განათლების მქონე სხვა სპეციალისტების გამოშვების მასშტაბი უდიდესია, და მალე თქვენს ქვეყანას ეყოლება ნასწავლ ტექნიკურ სპეციალისტთა დიდი რეზერვები.

დასასრულ ნება მიბოძეთ გამოვთქვა გულწრფელი სურვილი, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას საერთაშორისო უნდობლობა. მე ვლოცულობ აგრეთვე ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარებისათვის, რათა ეჭვი მხოლოდ წარსულის მოგონება გახდეს, რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ჩვენ ერთიანი ვიქნებით საბჭოთა კავშირთან ჩვენს საერთო მიზნებში. ... მი კოლონიებს, ... და ჩვენს საერთო ... რომელთა მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის მიღწევა.

დაე წარმატებით დამთავრდეს ამჟამად წარმოებული მოლაპარაკება ჟენევაში!

დაე მრავალ წელს ბედნიერად და ჯანმრთელად იცოცხლონ საბჭოთა ხელმძღვანელებმა!

დაე მრავალ წელს ბედნიერად და ჯანმრთელად იცოცხლონ საბჭოთა ადამიანებმა!

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობა!

დაე იყოს ხანგრძლივი მშვიდობა მთელ მსოფლიოში! (მქუხარე ტაში).

* * *

შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს. მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო!
ძვირფასო მეგობრებო!
ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით, მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების და მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით მადლობას ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ სტუმარს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს უ ნუს მის სიტყვაში გამოთქმული მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობებისათვის ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ხალხისადმი. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა მთავრობა მიესალმა ჩვენს ქვეყანაში ბირმის მთავრობის მეთაურის უ ნუს ჩამოსვლას, რომელსაც ჩვენ და მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც ბევრი ღონისძიება მოახმარა თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

პრემიერ-მინისტრ უ ნუს ჩამოსვლა მოგვაგონებს ჩვენი დროის ერთ თავისებურებას. მე მხედველობაში მაქვს ის ღრმა ცვლილებანი, რომლებიც ახლა ხდება აღმოსავლეთის ქვეყნებში. საუკუნეების მანძილზე აზიის ძველისძველი ხალხები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის შექმნაში, სასტიკ კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდნენ და განწირული იყვნენ სიღატაკისა და ჩამორჩენილობისათვის. ახლა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების ეს შავბნელი პერიოდი წარსულს ბარდება.

ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ ხდებიან აღმოსავლეთის ხალხები ახალი ცხოვრების აქტიური შემოქმედნი. ხორცს ისხამს დიდი ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ დადგება მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში ამ ხალხების მონაწილეობის პერიოდი.

მძიმე, სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოიპოვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანმა დიდმა ჩინელმა ხალხმა. აღმოსავლეთის მეორე დიდი ხალხი — ინდოეთის ხალხი აგრეთვე დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. განთავისუფლდა რა ხანგრძლივი კოლონიური ბატონობისაგან, ამ გზაზე გამოვიდა ბირმის სახელოვანი ხალხიც.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის წარსულ ურთიერთობაში არასოდეს არ ყოფილა უთანხმოება, ხოლო ამჟამად არის ყველა შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნების უაღრესად მჭიდრო კავშირის განვითარებისა და უაღრესად ფართო თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა კავშირ-ბირმის ურთიერთობის სიმტკიცე და მეგობრული ხასიათი განპირობებულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი აგებულია ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ეს პრინციპები, რომლებიც პირველად გამოაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ინდოეთმა, ხოლო შემდეგ დაადასტურა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციამ, ახლა აღიარეს როგორც აზიის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა, ისე ევროპის ბევრმა ქვეყანამ სხვა ქვეყნებთან თავიანთი ურთიერთობის საფუძვლად.

საბჭოთა მთავრობის აზრით ამ პრინციპების განუხრელი განხორციელება ხელს შეუწყობს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებას და სახელმწიფოთა შორის უნდობლობის აღმოფხვრას. საბჭოთა კავშირის მთავრობა ამასთან ემყარება თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად დებულებას, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ამ ბოლო დროს ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა განუხრელად ფართოვდება და მტკიცდება. მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირ-ბირმის საგაჭრო შეთანხმების დადება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საწყისებზე, აგრეთვე დელეგაციების გაცვლა დიდმნიშვნელოვანი ნიმანსვეტები იყო ჩვენი ქვეყნების კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოების გზაზე.

ბირმის პრემიერ-მინისტრის ბატონ უ ნუს ჩამოსვლა მოსკოვში და მისი უშუალო გაცნობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებთან, საბჭოთა ხალხის შრომითს საქმეებთან ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება პირადი კონტაქტის დამყარებას საბჭოთა მთავრობასა და ბირმის მთავრობას შორის. ორივე მხარისათვის ურთიერთ საინტერესო საკითხებზე აზრთა გაზიარებამ, რომელიც მოხდა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებსა და პრემიერ-მინისტრ უ ნუს შორის, გამოავლინა შეხედულებათა ერთიანობა იმ საკითხებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. (ტაში).

პირადი კონტაქტი, რომელიც მოსკოვში დამყარდა ჩვენ შორის, გაგრძელდება. პრემიერ-მინისტრმა უ ნომ

(დასასრული მე-2 გვერდზე).

განუწყვეტლივ ვზაარდოთ რესპუბლიკის ინდუსტრიული ძლიერება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საოქტომბრო მოწოდებებში საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა პარტიის XX ყრილობას შეხვდეს ახალი წარმატებებით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მთავარ, წამყვან დარგს სოციალისტური მრეწველობა, პირველ რიგში კი მძიმე ინდუსტრია წარმოადგენს. კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს ვ. ი. ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის ი. ბ. სტალინის ანდერძს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების შესახებ. საბჭოთა ადამიანებს გულში მხურვალე გამოხმაურებას პოულობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების სიტყვები:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ უპირატესად ვითარდებოდეს მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად სოციალისტური მრეწველობა განუხრელად წინ მიდის და ვითარდება. საბჭოთა ადამიანები ამყოფენ იმით, რომ მეტუთეს ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის დარგში 1955 წლის 1 მაისისათვის შესრულდა. წარმოების საშუალებათა წარმოება 1955 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით სულ მცირე 84 პროცენტით გაიზრდება და საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 70 პროცენტზე მეტს შეადგენდეს იქნება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის სისტემატური დახმარების მეოხებით, დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური მხარდაჭერით საქართველოს მშრომელებმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის განვითარების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით განუწყვეტლივ იარონ წინ, თავდადებით იბრძოლონ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერ კიდევ დიდია გამოუყენებელი საწარმოო რეზერვები და შესაძლებლობანი. მრეწველობის მუშაკების, სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა აღმოფხვრან ცალკეული დარგებისა და საწარმოების ჩამორჩენა, ტექნიკური პროგრესის საფუძველზე უზრუნველყონ სახელმწიფო გეგმის შესრულება ყველა სახეობის ნაწარმის მიხედვით და უკლებლივ ყველა ფაბრიკა-ქარხნის მიერ, შემდგომ გააფართოონ პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესონ მისი ხარისხი, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და შეამცირონ თვითღირებულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში დიდი ამოცანებია დასახული სოციალისტური მრეწველობის მუშაკების წინაშე. საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის პატრიოტული მოვალეობაა ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხოს პარტიის მოწოდებას. ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის მეშახტეები, ჭიათურის მაღაროელები მოწოდებული არიან უხვად მისცენ სამშობლოს მაღალხარისხოვანი ქვანახშირი და მარგანეცი. რუსთავისა და ზესტაფონის მეტალურგებმა სახალხო მეურნეობას უნდა მიაწოდონ მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და ფეროშენადნობები.

მანქანათმშენებლობა სოციალისტური მრეწველობის გულია. დიდია მანქანათმშენებელთა როლი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოთა კოლექტივებმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ უფრო სწრაფად შექმნან მანქანების ახალი ნიმუშები და ყოველი ღონისძიებით გააფართოონ მათი წარმოება, გაადიდონ თანამედროვე ჩარხების, წნეხების, ავტომობილების და სხვა მანქანების გამოშვება, უზრუნველყონ მოწყობილობის მოდერნიზაცია.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული ძლიერების ზრდაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ მშენებლებმა და რკინიგზელებმა, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა. თვითეული მშრომელი მოვალეა პატრიოტული თავდადებით მუშაობდეს მძიმე ინდუსტრიის, მრეწველობის ყველა დარგის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის.

მაღლა ავწიოთ სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა! კიდევ უფრო მტკიცედ შევმჭიდროვდეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის!

ასალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის კ. ჰოლიოაკის დეპეშა გ-ნ ნ. ს. ხრუშჩოვს, საგჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს

მოსკოვი.

პატივცემულო ბ-ნო ხრუშჩოვ,

არ შემიძლია ლონდონიდან წასვლის წინ არ გაცნობოთ, თუ რა დიდად ვაფასებ იმ ფაქტს, რომ თქვენ მიმიღეთ ყირიმში. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი საუბარი იყო ნაყოფიერი და ჩემთვის მეტად საინტერესო.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა და ჩვენი ჩამოსვლა თქვენს დიდ ქვეყანაში ხელს შეუწყობს მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას ჩვენს ხალხებს შორის და ამით სამსახურს გაუწევს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

გულწრფელად თქვენი კ. ჰოლიოაკი

დარგაზოგა გირმის კავშირის საელჩოში

ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში უ მონგ ონმა 2 ნოემბერს დარბაზობა გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს და მისი მეუღლის დო მია ის პატივსაცემად, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან საბჭოთა ქვეყანაში.

დარბაზობაზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი მეუღლე დო მია ი, პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირები: ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტანი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი, აგრეთვე უ ხლა და უ ნვე.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ბ. არისტოვი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ჰ. ვ. დემენტიევი, ვ. პ. ელიუტინი, ა. ნ. ზადემიდკო, ი. გ. კაბანოვი, მ. დ. კოვრიგინა, ვ. ვ. მაცკევიჩი, ნ. ა. მიხაილოვი, დ. ვ. პავლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, ავიაციის მარშალი ს. ი. რუდენკო, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი, მ. ს. მალინინი, ი. ა. სეროვი, გენერალ-პოლკოვნიკები ა. ს. ჟელტოვი და ნ. დ. ზახვატაევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ნ. ბესპალოვი და ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ვ. ნიკიტინი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, ნ. ა. გუნდობინი, ვ. ა. ზორინი, ს. ვ. კაფტანოვი, მ. რ. კუზმინი, ა. ი. ნაზაროვი, ი. თ. სემიჩასტნოვი, ვ. ნ. სურინი, ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ფ. ი. ბარანენკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ს. პ. კოზირევი, მ. ა. კოსტილევი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პოლიანსკი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი, ბუდისტთა მეთაური სსრ კავშირში ბანდიდო ხამბო ლამა ლ. ნ. დარმაევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

დარბაზობაზე იყვნენ ბირმის კავშირის მთავრობის შემსყიდველი მისიის წევრები და ბირმელი ჟურნალისტები, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან სსრ კავშირში.

სტუმრებს შორის დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობამ გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ა. ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

მე და ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მიგვიწვია ბირმაში. ვსარგებლობ დღევანდელი შესაძლებლობით, რომ საბჭოთა მთავრობის სახელით, აგრეთვე ჩემი სახელით და ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დავალებით და მისი სახელით მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრ უ ნუს ამ მიწვევისათვის. ჩვენ ვიღებთ ამ მიწვევას, როგორც წვლილს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

პრემიერ-მინისტრ უ ნუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში და ჩვენი გამგზავრება ბირმაში ხელს შეუწყობს ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთების განვითარებას, შესაბამისი იქნება ჩვენი ხალხების მხურვალე სურვილისა იცხოვრონ მშვიდობითა და მეგობრობით ყველა ხალხთან და არ იცოდნენ შიში თავიანთი მომავლისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა შეანელა საერთაშორისო დაძაბულობა და ლახვარი ჩასცა ეგრეთწოდებულ „ცივ ომს“. ეს თათბირი მოასწავებს ახალი ეტაპის დასაწყისს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ამ თათბირმა ცხადყო, რომ ჩვენს დროში საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობის ინტერესებისათვის სავსებით შესაძლებელია, ხოლო სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარება რეალური მიზანია, რომლის მიღწევა შეიძლება.

მთავრობათა მეთაურების თათბირის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი ესწრაფვის შეინარჩუნოს და განავითაროს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკანასკნელ სამ თვეში განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ნდობის განმტკიცებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ამ ნაბიჯებს რომ დგამდა, საბჭოთა მთავრობა ესწრაფვოდა შეექმნა ხელსაყრელი პირობები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების 27 ოქტომბერს გახსნილი თათბირის წარმატებით მუშაობისათვის. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობდით და კვლავაც ვხმარობთ, რათა მინისტრებმა შეიმუშაონ შეთანხმებული გადაწყვეტილებანი იმ საკითხებზე, რომლებიც მთავრობათა მეთაურებმა განიხილეს. ეს საკითხებია: ევროპის უშიშროება და გერმანია, განიარაღება, აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარება.

საბჭოთა მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ამ საკითხების შესახებ შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა. ამ წინადადებათა განხორციელება ახალი დიდი ნაბიჯი იქნება ურთიერთგაგების საფუძველზე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების გზაზე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის ყველა მონაწილე დაიცავს თანამშრომლობის იმ სულისკვეთებას, რომელიც მთავრობათა მეთაურების თათბირზე სუფევდა, მაშინ თათბირის მუშაობაში მიღწეულ იქნება დადებითი შედეგები **(ტაში).**

ყველა ქვეყნის ხალხებს სურთ მშვიდობა. საბჭოთა კავშირი ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრ უ ნუს შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით მხურვალედ ესწრაფვის მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

თავის ღონისძიებებში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად ჩვენი ხალხი იბრძვის სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხების, მათ შორის აგრეთვე ბირმის კავშირის ხალხის მხარდამხარ.

გარწმუნებთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენი სახით მთელ ბირმელ ხალხს საბჭოთა ხალხის უცვლელ მეგობრობაში, აგრეთვე გისურვებთ წარმატებას თქვენი სამშობლოს გაგვითარებისა და აყვავების გზაზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას! **(ტაში).**

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ! **(ტაში).**

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი მაგრად, მეგობრულად ართმევს ხელს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს. უ ნუს. დარბაზში კვლავ ქუხს ოვაცია, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის მეგობრობას ბირმის ხალხთან! ვაშა!“

უ ნუს და ნ. ა. ბულგანინის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინა სვეტებიან დარბაზში ყველა დამსწრემ. მიტინგმა, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა, ცხადყო საბჭოთა კავშირის განუხრელი მისწრაფება მშვიდობისადმი, მეგობრობისადმი ბირმის ხალხთან, რომელიც განთავისუფლდა კოლონიური ჩაგვრისაგან და აშენებს თავის ახალ სუვერენულ სახელმწიფოს, ცხადყო საბჭოთა ადამიანების მისწრაფება დედამიწის ყველა ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი.

* * *

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საკდესი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ამ დღეებში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული აქტივის კრება, რომელშიც განხილულ საკითხი ვიარობის, სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივ მრეწველობის ორგანიზაციებში გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ა. სეფნაშვილმა.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა მოხსენებელმა, — დიდი აღფრთოვანებით ებრძვის კომუნისტური პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, მრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება.

საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ზრდა დამყარებულია სოციალისტური, სოციალისტური საკუთრების ყოველი ღონისძიებით განმტკიცების უარყოფ საფუძველზე. იგი წმიდაა ხალხისათვის, რადგან შექმნილი მისი შრომით, ეკუთვნის მას და უზრუნველყოფს მშრომელთა სულ უფრო ზრდად მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას. საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა, როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციაშია ჩაწერილი, ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის წმიდა მოვალეობაა.

უდიდესი უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისა, რომლებიც აღზრდილი არიან კომუნისტური პარტიის მიერ, პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას — უფრთხილდება სოციალისტურ საკუთრებას.

მაგრამ ჩვენში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ თაკილობენ ხელი მოითბონ სახალხო ქონების ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დროს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი სახელმწიფო კანონიერების ზუსტი დაცვისათვის და სოციალისტური საკუთრების გამფლანგველთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ვაჭრობის, სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის ორგანიზაციებში შეპარული დანაშაულებრივი ელემენტები ხშირად დაუსჯელად იტაცებენ მატერიალურ და ფულად სახსრებს, იტაცებენ მაღალ ფასებში, წონასა და ზომაში, ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკთა ერთ ნაწილთან შეთანხმებით სახელმწიფოს პარაფენ ნედლეულსა და მასალებს, არტელებისა და საწარმოების ამრით უშვებენ აღრიცხვაში გაუტარებელ პროდუქციას.

გაფლანგვა და დატაცება, კერძომეწარმეობრივი საქმიანობა შესაძლებელი გახდა სამეურნეო ორგანიზაციების მთელი რიგი ხელმძღვანელების მხრივ წყარუებისა და დოყლაპიობის მეოხებით, მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში თბილისის საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში გამოვლინებულია 551 ათას მანეთზე მეტი თანხის გაფლანგვისა და დატაცების 70 შემთხვევა.

გასაკუთრებით დიდი დანაკლისი გაფლანგვისა და დატაცების გამო აღმოჩნდა ცეკავშირის (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ნარსია), საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. შ. საბანაძე), საქართველოს სარეწაო საბჭოს (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ჩხეიძე), საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ა. მელაძე) სისტემაში. დატაცება და გაფლანგვა აღმოჩენილია აგრეთვე საქართველოს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ყოფილი სამინისტროს, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და მთელ რიგ სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დაგეგმვაში, აღრიცხვასა და მათი ხარჯვისადმი კონტროლში, გაუმჯობესდეს მუშაობა გაფლანგვისა და დატაცების თავიდან აშორებისთვის. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა. ფაქტები კი ,იმას მოწმობენ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში იგი დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს.

რევიზორთა შორის არიან ნაკლებ კვალიფიციური, უპატიოსნო მუშაკები. დასახულ რევიზიებს ყოველთვის როდი აწარმოებენ, იშვიათად და ცუდად ეწყობა უეცარი რევიზიები. მაგალითად, ცეკავშირის სისტემაში რევიზიების გეგმა 1954 წელს შესრულებულია მხოლოდ 64,2 პროცენტით, ხოლო ამა წლის 9 თვეში — 88,6 პროცენტით.

ყოველივე ეს კარგი საძრომია იოლად გამდიდრების მოყვარულთათვის. სარგებლობენ რა ზოგიერთი ხელმძღვანელის უდარდელობით და გულგრილობით, მათ მხრივ კონტროლის უქონლობით, აღრიცხვის უყურადღებოდ მიტოვებით, ისინი სჩადიან დანაშაულებრივ საქმეებს. ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მატერიალური განყოფილების ბუხპალტერი ა. პოღოსოვა, წინდის საამქროს უფროსი დ. ჯაფაროვი და ამავე საამქროს საწყობის გამგე გ. ბალანჩივაძე, სარგებლობდნენ რა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის არევდარევით, დიდხანს იტაცებდნენ ბამბის ნართს, რითაც საწარმოს მიაყენეს თითქმის 130 ათასი მანეთის ზარალი. გამორკვეულია ტყავის საქონლის ფურდობის შემთხვევები № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში, № 1 და № 2 ტყავის ქარხნებში.

არის ფაქტები, რომ დანაშაულებრივი ელემენტები კონტაქტს ამყარებენ ვაჭრობის, სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის ცალკეულ მუშაკებთან და მათთან ერთად აწყობენ ყოველგვარ მაქინაციებს. არტელ „ყაზბეგის“ № 38 საამქროს გამგე გ. სეფოიანი ქმნიდა მზა ლაქის ფეხსაცმლის ალუმიციტველ ნამეტს, ამით ამარაგებდა ამავე არტელის № 3 მაღაზიას გამყიდველს დ. შათაშვილს და გარკვეული საქმიანობის არმქონე პირს კ. კარაკოსიანს. უფაქტურო ფეხსაცმლის რეალიზაციით მიღებულ ფულს ისინი ითვისებდნენ. ახლა ისინი მიეცემიან არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ეს და სხვა ანალოგიური ფაქტები სიგნალი უნდა გახდეს სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, რათა მათ გააძლიერონ სიფხიზლე, უფრო ენერგიული ბრძოლა გაიმართონ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, დანაშაულებრივი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ სახალხო ქონებას.

სამეურნეო ორგანიზაციების, სასამართლოსა და პროკურატურის ცალკეულ მუშაკებს ავიწყდებათ დიდი ლენინის მითითება, რომ კანონიერება არ შეიძლება იყოს „ელეფური“ ან „ყაზანური“. იგი ერთიანი უნდა იყოს მთელი საბჭოთა სახელმწიფოსათვის. და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის მათ პასუხი უნდა აგონ საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით. ასეთი მუშაკები, ნაცვლად იმისა, რომ შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ დამტაცებელთა წინააღმდეგ, სახელმწიფოს სასარგებლოდ მათ გაფლანგული სახსრები, აღგებან ისეთ ბოლ გზას, რომელიც ალის დასაკლისის ჩამოწერა ზარალში. მაგალითად, საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ამას წინათ რეორგანიზებული სამინისტროს საწარმოებში გამოვლინებული გაფლანგვისა და დატაცების თანმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 706 ათას მანეთს შეადგენდა. არ გადაუხდევინებიათ რა დამნაშავეებისათვის არც ერთი კაპიკი ამ პერიოდში, „კეთილმა ძიებამ“ სამინისტროდან ამავე დროს კალმის ერთი მოსმით ჩამოსწერეს 108 ათასი მანეთი. საქართველოს სარეწაო საბჭოს ხაზით წლის პირველ ნახევარში გადახდევინებული იყო 234 ათასი მანეთი გაფლანგული სახსრები, ხოლო ჩამოწერილი იყო... ორნახევარჯერ მეტი. განსაკუთრებული „ეფექტი“ ამ საქმეში გამოიჩინეს ცეკავშირის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც დიდი გულუხვობით სახელმწიფოს ხარჯზე ჩამოსწერეს ზარალში მნიშვნელოვანი თანხები.

თუსტიციის ორგანოები სათანადო ოპერატიულობასა და მოქნილობას ვერ იჩენენ იმისათვის, რომ გაფლანგული და დატაცებული სახსრები ანაზღაურებულ იქნას სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების სასარგებლოდ. მაგალითად, წლის პირველ ნახევარში სასამართლოს აღმასრულებლებმა გადახდევინეს ასანაზღაურებელი საერთო თანხის მხოლოდ 2 პროცენტი. სავაჭრო ორგანიზაციების, სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა ძირეულად უნდა გაუმჯობესონ მუშაობა სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეში. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ (მინისტრი ამხ. მ. ლომაძე).

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებასთან.

საბჭოთა ადამიანების საჭიროებებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ნაყოფი გამოვლინებაა საბჭოთა ვაჭრობაც, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება. მარტო მიმდინარე წლის მესამე კვარტალში თბილისში გაიხსნა 49 სასურსათო და სამრეწველო მაღაზია, ახალი რესტორანები, სასადილოები. ახლა თბილისში ფარდულებსა და კიოსკებს გარდა 1.196 მაღაზიაა, მათ შორის 370 სპეციალიზებული მაღაზია, რომლებიც ვაჭრობენ მზა ტანსაცმლით, ქოვილებით, ფეხსაცმლით, ავეჯით, კულტსაქონლით, საშენი მასალებით. მიმდინარე წელს სავაჭრო სისტემაში კაპიტალურ დაბანდებათა თანხამ 4 მილიონამდე მანეთს მიაღწია.

ქალაქში ბევრია სავაჭრო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც გვიჩვენებენ მოიმხმარებელთა საუცხოო მომსახურების მაგალითს, ზრუნავენ იმისათვის, რომ უკეთ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გაძლიერეს ყურადღება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საკითხებისადმი. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აქტიურად რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, უფრო მეტად მუშაობენ ვაჭრობის კულტურის გაუმჯობესების საკითხებზე, გააუმჯობესეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ვაჭრობის მუშაკებს შორის, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა მომხმარებლის სანმოუშო მომსახურების მოსაწყობად.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობა აკმაყოფილებდეს წაყენებულ მოთხოვნებს. საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩებიან თბილმრეწვავჭრობა, თბილხილბოსტანეაჭრობა, საქუნაფერეაჭრობა, საგაზსტრონომი. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მყიდველების ზომა-წონისა და ანგარიშში მოტყუების ფაქტები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საქგასტრონომის სისტემაში, მარჯანეში ნაბირისა და მარცხენა ნაპირის სასადილოთა ტრესტებში, საქართველოს რესტორნების ტრესტის საწარმოებში. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სპეკულაცია.

აუცილებელია, რომ მილიციის ორგანოებმა კიდევ უფრო გააქტიურონ ბრძოლა სავაჭრო ორგანიზაციებში შეპარული უპატიოსნო ადამიანების, სპეკულანტების წინააღმდეგ. მაგრამ ამ საქმეში წარმატება მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, როცა საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო საზოგადოებრიობა მიიღებს მონაწილეობას. ქალაქის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა მშრომელებში, ჯერეთ-ჯერობით ჩაბან საზოგადოებრიობა იმისათვის, ბრძოლაში, რომ აღმოიფხვრას ბორტმოქმედებანი სავაჭრო-ებში.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ამ მხრივ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება — დაწესონ საზოგადოებრივი კონტროლი სავაჭროებისადმი. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოაცოცხლონ საზოგადოებრივი კონტროლიორების მუშაობა. კონტროლიორებად გამოაყენონ აქტიური, ენერგიული, პრინციპული ამხანაგები. ქალაქისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ჯერეთ-ჯერობით უნდა მოაწყონ ვაჭრობის მუდმივი კომისიების მუშაობა, ჩაბან დეპუტატები ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაკთა კადრების შესწავლის, შერჩევისა და განაწილების საკითხს. ხშირად ვაჭრობის, სარეწაო კოოპერაციის სისტემაში სამუშაოდ იღებენ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს. სავაჭრო ორგანიზაციების, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ პარტიისა და მთავრობის მითითებას ვაჭრობაში ქალთა შრომის ფართად გამოყენების შესახებ. მაგალითად, ქალაქის ვაჭრობის საწარმოებში ქალები მუშაკთა საერთო რიცხვის მხოლოდ 47 პროცენტს შეადგენენ.

აქტიური კრებაზე აღინიშნა პარტიული ორგანიზაციების მხრივ ვაჭრობისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი. პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა აქ დაბალ დონეზეა. პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ღრმად როდი სწვდებიან მათს მუშაობას. მათ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს აამაღლებინეთ კომუნისტებისა და კომკავშირელების როლი ამ საწარმოებში, გაეძლიერებინათ თვითთეული კომუნისტის პასუხისმგებლობა არა მარტო მუშაობის საკუთარი უბნისათვის, არამედ მთელ საწარმოში საქმის მდგომარეობისთვისაც.

ამ პირველიდან პარტიულ ორგანიზაციებში, დასაკუთრებით საავჭროებში, პატივს არ სცემენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გამალებული არ არის ქმედითი ბრძოლა საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ, სპეკულაციის, გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ, ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს სავაჭროში — თბილისის უნივერმაღში გამოამჟღავნა ბორტმოქმედებანი. ეს ბორტმოქმედებანი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ი. ლომაშვილი) ვერ აღმოჩნდა თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე, გვერდს უვლიდა აღმაშფოთებელ დარღვევებს. ნაკლოვანებათა პრინციპული კრიტიკის ნაცვლად ინერგებოდა ფლიქნელობა, მაამებლობა.

თბილისში მარტო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში 2.300 კომუნისტი მუშაობს. პარტიის ბევრი წევრი მუშაობს სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციაში, ადგილობრივ მრეწველობაში. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა ჯერეთ-ჯერობით უნდა მოაკიდონ ხელი ხსენებული პარტორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას.

საჭიროა გავაძლიეროთ იმ კომუნისტების აქტივობა, რომლებიც მუშაობენ ვაჭრობაში, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციაში, ადგილობრივ მრეწველობაში, ჩავაბან ისინი აქტიურ ბრძოლაში სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, სპეკულანტთა, მექრთამეთა, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ სისტემატიური და თანმიმდევრული ბრძოლა აწარმოონ სანეურნეო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ბორტმოქმედებათა წინააღმდეგ, დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი ქურდობის თვითთეული შემთხვევის წინააღმდეგ. რადგან შეუძლებელია ქურდობის, სპეკულაციის, მექრთამეობის აღმოფხვრა მხოლოდ დამსჯელი და ადმინისტრაციული ღონისძიებებით, საჭიროა სხვა ღონისძიებებიც.

„ეს ღონისძიება, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — ისაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი ქურდ-ბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და გარეშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფერო. ეს ღონისძიება ისაში მდგომარეობს, რომ გაჩაღდეს ისეთი კამპანია და შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დაზტაცებლებსა და ქურდების... ცხოვრებისა და არსებობას“.

კამაში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, რომელიც საბჭოთა წყობილების წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველია, ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყაროა, მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყაროა. ისინი აშხილებდნენ დატაცებას, სპეკულაციის, ანგარიშსა და ზიზღ-წონაში მყოფელთა მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლის ნაკლოვანებებს, სახავდნენ ამ ბოროტების ლიკვიდაციის ღონისძიებებს.

პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. შეკარდაძემ მოიყვანა რაიონის ზოგიერთ სარეწაო კოოპერატივსა და სავაჭრო საწარმოში დატაცების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები, გააკრიტიკა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ცალკეული მუშაკები, რომლებიც ზოგჯერ სახალხო დოვლათის დამტაცებელთა დამცველის როლში გამოდიან. მან აღიარა რა, რომ პარტიის რაიკომს არ მოუგვარებია მუდმივი და ქმედითი კონტროლი არტელების, მაღაზიების მუშაობასაღმი, მეორეს კავშირი მათს პარტიულ ორგანიზაციებთან, მაგრამ, ამავე დროს, არაფერი თქვა იმაზე, თუ რა კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებაა დასახული დანაშაულებრივი ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. შ. საბანაძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ცოტა წარმატება როდია მიღწეული საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში. წარმატებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, სერიოზული ნაკლოვანებები რომ არ იყოს მუშაობაში, სავაჭრო ორგანიზაციებში სუსტად ხორციელდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი ვაჭრობის წესების დარღვევის, გაფლანგვებისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

მილიციის ორგანოების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სახალხო დოვლათის დამტაცებელთა, სპეკულანტთა, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში თბილისის ქალაქის მილიციის უფროსმა ამხ. ა. ძლიერიშვილმა.

საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჩხეიძემ თავის გამოსვლაში ილაპარაკა სარეწაო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების გზებზე, ამაზე, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება დატაცებისა და ზოგიერთ არტელში გავრცელებული კერძომეწარმეობრივი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

ამავე საკითხებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლაში ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ნარსია და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. მელაძე.

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ტ. კობაძემ დამსწრეთ უამბო, როგორ რაზმავს პარტორგანიზაცია საწარმოს კოლექტივს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის სრბრძოლველად.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ამხ. ე. ტაკაძემ და ქალაქ თბილისის პროკურორმა ამხ. მ. ცეფხვაძემ თავიანთ გამოსვლები მიუძღვნეს გაფლანგვებისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

ამაზე, თუ როგორ ეწევა რაიონული პარტიული ორგანიზაცია ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის, საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა გამოვლინებისათვის, ილაპარაკა პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ჩხარტიშვილმა.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟვანაძემ.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო ვრცელი გადწყვეტილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ვაჭრობის, სარეწაო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის ორგანიზაციებში გაფლანგვებისა და დატაცების წინააღმდეგ.

(საქდესი).

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 38-Ე ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

★ ★

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ



თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც სპეციალიზებულია მეღვინეობის საწარმოთათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება. უკვე დაამთავრეს ლითონსამსხმელი საამქროს აღჭურვა ახალი ტექნიკით, გამოუშვეს და საგურამოს ღვინის ქარხანას გამოსაცდელად გადასცეს უწყვეტი მოქმედების ჰორიზონტალური წნები, პირნათლად შეასრულეს ოქტომბრის საწარმოო დავალება.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ამწყობი საამქროს კოლექტივს, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი შ. თევზაძე. ეს საამქრო კვლავ ინარჩუნებს საქარხნო გარდამავალ წითელ დროშას. ამწყობ-ზინკალთა ბრიგადებს შორის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში თავი გამოიჩინეს პ. შეპელიოვის, მ. ბელენკოს, კ. ტონოიანის, ი. მანუკოვის ბრიგადებმა. ოქტომბერში პ. შეპელიოვის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით ააწყო უწყვეტი მოქმედების 2 წნები.

ქარხანაში უკვე შ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდება, მტკიცდება საქართველოს ინდუსტრიული ძლიერება!

★ ★ ★ ★ ★

ტექნიკური პროგრესის გზით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს საქართველო ხვდება, როგორც მძლავრი ინდუსტრიული რესპუბლიკა, უაღრესად განვითარებული, სოციალისტური სოფლის მეურნეობით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო იქცა სამთამადნო მრეწველობის, შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ენერგეტიკული მრეწველობის კუთხედ, რომელსაც თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნისტური მშენებლობის დიდ საქმეში.

★ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდები ეუფლებიან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებში და მთავარ კონვეიერზე. მათი შრომის, ტექნიკური დაოსტატების შედეგად ის დიდი სახელი, რომელიც ქუთაისის მარკის /ავტომანქანამ მოიპოვა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებში.

უკვე დიდი ხანია ქუთაისელმა მშრომელებმა თავიანთ ქალაქს მოუპოვეს და მტკიცედ შეუნარჩუნეს რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის სახელი. ქუთაისი მრავალი ახალი მანქანის, მექანიზმის, მრავალი ტექნიკური სიახლის სამშობლო გახდა. აქ გაკეთეს ბამბის საზიდი პირველი ავტოკატარებელი, აქედან მიღებული სამეზრივ დასაყრავებელი თვითსაცლელი ავტომანქანების მიღებით გაიხარეს მშენებლობებზე მომუშავე ავტომძღოლებმა. ქუთაისელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ახალი მოხერხებული სამახტე ვაგონეტი, მთელი რიგი სხვა სამახტე მოწყობილობანი, ჭაურის ამოსაღები მექანიზმი, ცემენტსაზიდავი მანქანა, უნივერსალური ექსკავატორი, ბევრი რამ სხვა...

★ მეტალურგიას ფეროშენადნობები ჭირდება, როგორც ადამიანს ჰაერი. მაღალხარისხოვან ფოლადს ისე ვერ მიიღებ, თუ სათანადო ფეროშენადნობი არ არის. ფეროშენადნობთა დედა კი მარგანეცის მადანია.

ჩვენი მარგანეცის მადანი წინათ, როგორც ცნობილია, მთლიანად უცხოეთში გაჰქონდათ. ჭიათურელი მაღაროელების ოფლის ფასით მდიდრდებოდნენ ვიგინდარა უცხოელი კაპიტალისტები. ახლა მარგანეცის გადასამუშავებლად, მისგან ძვირფასი ფეროშენადნობების მისაღებად დღედაღამ გაუწყვეტლივ მუშაობენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში და ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მრავალ ასეთ სხვა ქარხანაში.

★ საქართველო „თეთრი ნახშირის", ბურაცხელი ჰიდროენერგეტიკული რესურსების საყოველთაოდ აღიარებული რესპუბლიკაა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამდე აქ არც ერთი ჰიდროელექტროსადგური არ არსებობდა, გარდა მცირეძალიანი, ისიც დიდ მთავართა გასართობად ბორჯომის წყალვარდნილზე აგებული პატარა სადგური. ახლა საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ სისტემაში მუშაობენ უახლესი ტექნიკით — ავტომატიკით, ტელემექანიკით აღჭურვილი, შესანიშნავად მოწყობილი ზაჰესი, რიონჰესი, სოხუმჰესი, აწჰესი, ხრამჰესი, სამგორჰესების კასკადი, შაორჰესი, ორთაჭალჰესი, 193 სასოფლო ელექტროსადგური, მრავალი მძლავრი თბოცენტრალი. დიდძალ ელექტროენერგიას აძლევენ ისინი ქვეყანას, მაგრამ სახალხო მეურნეობის განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ისე სწრაფი ტემპით წავიდა წინ, რომ არსებულ ელექტროსადგურთა სიმძლავრე მთლიანად ვეღარ ფარავს მოთხოვნილებას.

ამიტომ შენდება ახლა ჩვენში მთელი ჯგუფი ახალი, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურებისა — გუმათის კასკადი, ლაჯანურჰესი, ტყიბულჰესი, მეორე ხრამჰესი, ბეჟუჰესი და ბევრი სხვა ჰიდროელექტროსადგური.

★ ძველი ჭეშმარიტებაა — ყოველი ქვეყნის სამრეწველო განვითარების საფუძველი სათბობია. დიდი ლენინი თავიდანვე მიგვითითებდა, მრეწველობის პური ქვანახშირიაო. საქართველოში აღმოჩენილია ქვანახშირის უმდიდრესი საბადო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ეყოფათ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ინდუსტრიულ საწარმოებს.

★ მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა (ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში, პლასტმასის ქარხანა თბილისში, აზოტოვანი სასუქების საწარმო რუსთავში), ახალი, საბჭოთა ხელისუფლების შემდგომდროინდელი დარგებია ჩვენს რესპუბლიკაში.

★ ჩაის პრველადი გადამუშავების ათობით შესანიშნავად მოწყობილი ფაბრიკები, ჩაის საწონი დიდი საწარმო, საკონსერვო ქარხნები ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, სამტრედიაში... შოკოლადის ფაბრიკა და სამი დიდი საკონდიტრო საწარმო თბილისში. საუკეთესო შამპანური ღვინო საქართველოდან მიდის მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებში. ქართულმა კონიაკმა საყოველთაოდ გაითქვა სახელი, ჩვენებური სამარკო ღვინოები გაბედულად დგებიან მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული ფრანგული და რაინული ღვინოების გვერდით...

★ მძლავრი საფეიქრო მრეწველობის პატრონია ახლა ქართველი ხალხი. მაუდ-კამოლის კომბინატი, გორის ბამბეულის კომბინატი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, იქვე მაუდის ფაბრიკა (ქართველი ხალხისადმი დიდი რუსი ხალხის საჩუქარი) და თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ყოველწლიურად მრავალ ათ მილიონ სხვადასხვა ქსოვილს გვაძლევენ.

ამით რიდი ამოიწურება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სიმძლავრე.

ტექნიკური სიახლეებისათვის დაუდეგარი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული ყველა საწარმოში, დიდსა და პატარაში...

ამ ბრძოლის ვითარებაში აღორძინების, ტექნიკური პროგრესის გზით წინ მიდის ინდუსტრიული საქართველო.

★ ★ ★

ლიახვის პირას

რეპორტაჟი გორის ბამბეულის კომბინატიდან

საჩვენებელ მაღაზიაში, რომელიც გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზეა გახსნილი ამ დღეებში, ასეთი სურათის მოწმენი გავხდით: დახლთან, სადაც ფართლით ვაჭრობდნენ, თავი მოეყარა აუარებელ ხალხს. ყველას აინტერესებდა გასაყიდად გამოტანილი ახალი ქსოვილები. მაღაზიაში გაცხოველებით ბჭობდნენ:

— შეხედეთ, შეხედეთ, რა ლამაზად მოხატულია!

— მშვენიერი ფლანელია!

— მშვენიერი და ლამაზი უნდა იყოს, აბა რა გგონიათ, ეგ ხომ ჩვენებური, გორული ქსოვილია! — ამაყად განაცხადა ატენიდან ჩამოსულმა კოლმეურნემ პელო წიქარიძემ.

— რაო, გორული ქსოვილიო? შენ რა იცი?

— როგორ თუ რა ვიცი, — იწყინა მოხუცმა, — მაგ ფართალს ჩვენს ბამბეულის კომბინატში უშვებენ. იქ ჩემი ვაჟი ვანო მუშაობს, იქნებ გაგიგონიათ წიქარიძე, ქვეოსტატია. აი იმ მიტკალს ხომ ხედავთ, მაგის ნართს ჩემი ბიჭი და მისი მეგობრები ამზადებენ. ეს რა არის, გორში მიტკლის გარდა სხვა ბევრ ქსოვილსაც უშვებენ!

მართლაც მარტო ფლანელით ან მიტკლით როდი ამოიწურება გორის ბამბეულის კომბინატის პროდუქცია.

გორის ბამბეულის კომბინატი, რომლის ლამაზი კორპუსები სულ მოკლე დროში აღიმართა მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირას, სადაც წინათ რიყისქვისა და კენჭების გარდა არაფერი იყო, ახლა ამიერკავკასიის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრია.

მეხუთე ხუთწლედის დასაწყისში, როცა კომბინატის საწარმოო კორპუსები, ფეიქართა საცხოვრებელი სახლები ჯერ ისევ ხარაჩოებში იყო, მწყობრში ჩადგა კომბინატის სართავი ფაბრიკა, რომელმაც გამოუშვა პირველი პროდუქცია — ნართი, ხოლო მესამე კვარტალში ამუშავდა საქსოვი ფაბრიკა და დაიწყო ბამბის ქსოვილების გამოშვება.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ფართოვდებოდა კომბინატის საწარმოო კორპუსები, ემატებოდა ახალ-ახალი მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა. იზრდებოდა და ფართოვდებოდა კომბინატი, იზრდებოდნენ და ვაუკაცდებოდნენ მისი ახალგაზრდა კადრები, რომლებმაც პირველი წრთობა ჩვენი ქვეყნის მოწინავე საფეიქრო საწარმოებში მიიღეს.

კომბინატის სიმძლავრეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისი იქნება დავასახელოთ მხოლოდ ორი ციფრი: სართავ ფაბრიკაში ამჟამად 85 ათასი თითისტარი მოქმედებს, საქსოვ ფაბრიკაში კი 1.500-მდე ავტომატური საქსოვი დაზგა მუშაობს.

შარშან შემოდგომაზე ამუშავდა კომბინატის მესამე საწარმო — ქსოვილის გამომყვანი ფაბრიკა. პირველ თვეს ფაბრიკამ 60 მეტრი გამოყვანილი ქსოვილი გამოუშვა, ახლა კი მისი კოლექტივი დღეში 140 ათას მეტრ ქსოვილს იძლევა. პირველ ხანებში ფაბრიკა მხოლოდ ერთი ფერის ქსოვილს უშვებდა, მას შემდეგ კი, რაც ქსოვილსაბეჭდავი სამი მანქანა ამუშავდა, გორელი ფეიქრები უკვე 15 სახეობის მოჩითულ ქსოვილებს იძლევიან.

მეტად რთული საქმეა ქსოვილის გამოშვება. ბევრმა მომხმარებელმა არ იცის და ალბათ ვერც წარმოუდგენია, თუ რა დიდი შრომის გაწევა უხდებათ კომბინატში, სანამ პლანტაციებიდან მოტანილი ბამბიდან სათანადო ხარისხისა და ფერის ქსოვილს გამოიყვანდნენ. ბამბის ნერტყვა-ჩეჩვით დაწყებული მზა ქსოვილზე კომბინატის ეტიკეტის დაკვრამდე ფეიქრები სხვადასხვა სახის 30-მდე ძირითად ოპერაციას ასრულებენ.

ქსოვილის სიმკვრივე, გამძლეობა ბევრად არის დამოკიდებული ნართის ხარისხზე. კომბინატის სართავი ფაბრიკის კოლექტივიც ყველაფერს აკეთებს, პროდუქციის ხარისხის შემდგომი სრულყოფისათვის, ახალი, მაღალი ნომრის ნართის გამოშვების ათვისებისათვის. გორელმა მრთველებმა, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ არაავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, კომბინატის ისტორიაში პირველად აითვისეს 170 ნომრის ნართის გამოშვება. ამ მიღწევაზე მკითხველს წარმოდგენა რომ ექნეს, ჩვენ აქ გავხსნით ფეიქართა ამ „საიდუმლოებას": 170 მეტრი სიგრძის ნართის ძაფი მხოლოდ ერთ გრამს იწონის! წარმოიდგინეთ, რა ფაქიზად წმინდა უნდა იყოს იგი. და აი სწორედ ამ უწმინდესი სიფაქიზის ნართით ქსოვენ ახლა გორელი ფეიქრები მარკიზეტს.

გამართულად, რიტმულად მუშაობს სართავი ფაბრიკა. საგულისხმო და სასიხარულო ის არის, რომ მისი მანქანა-დანადგარების დაახლოებით ოთხმოცდაპროცენტს მართავენ კომბინატის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელდამთავრებულები. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის სპეციალურ საფეიქრო სასწავლებლებსა და საფეიქრო საწარმოებს გარდა, კომბინატი სერიოზულ შევსებას იღებს თავისი საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლიდან, რომელიც მეფთილეებს, მრთველებს, მგრეხავებს, მქსოველებს, ქსოვის ოსტატის თანაშემწეებს ამზადებს.

სართავ საამქროში ჩვენ შევხვდით მკითხველისათვის უკვე ცნობილ ქვეოსტატს ივანე წიქარიძეს. მისი საწარმოო ბიოგრაფია დამახასიათებელია კომბინატის ბევრი ფეიქრისათვის, რომლებიც აქ მისი მშენებლობის პროცესში მოვიდნენ, დაეუფლნენ ფეიქრის პროფესიას და მთელ კოლექტივთან ერთად დაუღალავად იბრძვიან ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის. როგორც კი კომბინატის მშენებლობა დაიწყო, ივანე წიქარიძე მშენებელთა რიგებში ჩადგა. მალე რვაკლასდამთავრებული სოფლელი ბიჭი სხვა ახალგაზრდებთან ერთად თბილისის სართავ-საქარიკოტაჟო კომბინატში ქვეოსტატების კურსებზე მიავლინეს. დაამთავრა კურსები და იქვე ერთხანს ქვეოსტატად იმუშავა, შემდეგ კი მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდა. აქ ჯერ სართავი მანქანების მონტაჟზე მუშაობდა გიორგი ჭიღლაძესთან, სერგო ყაზარაშვილთან და სხვებთან ერთად, ახლა კი მეორე უბნის მეორე კომპლექტს მეთაურობს.

საინტერესო მუშაობას ეწევა გამომყვანი ფაბრიკის ქსოვილსაბეჭდი საამქრო, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული კომბინატის სამხატვრო სახელოსნოს, გრავიორების, ქიმიკოსების მუშაობაზე. ქსოვილის მოსაჩითავად დღემდე კომბინატის მხატვრების მიერ შესრულებული ნახატებიდან 17 უკვე დანერგილია წარმოებაში, სულ ქსოვილის მხატვრების მიერ შესრულებული ნახატებიდან საფეიქრო მრეწველობის საკავშირო სამინისტროს სამხატვრო საბჭოს მიერ მიღებული და დამტკიცებულია 60 ნახატი, აქედან თხუთმეტმა ფრიადი შეფასება მიიღო. მაგრამ მხატვართა პატარა კოლექტივი, რომელსაც ირინე ვალკოვსკაია მეთაურობს, მიღწეულით არ კმაყოფილდება.

ქსოვილზე ნახატების ბეჭდვა ხდება ქსოვილსაბეჭდავი მანქანის სპილენძის დოლურების შემწეობით, რომლებზეც ადგილობრივ გრავიორებს ოსტატურად გადაქვთ ქსოვილების მოსაჩითავი ნახატები. ქსოვილსაბეჭდავ მანქანაზე წარმატებით მუშაობენ ადგილობრივი კადრები, რომლებმაც ეს პროფესია ტაშკენტის და ჩვენი ქვეყნის სხვა მოწინავე საფეიქრო კომბინატებში შეისწავლეს.

მძლავრი საწარმოო აღმავლობაა ამჟამად კომბინატში. დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით ახალი ძალით ჩაიდება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

ლ. ასლანიშვილი,
მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

• • •

სურათზე: კომბინატის გამომყვანი ფაბრიკის ქსოვილსაბეჭდავ საამქროში. საამქროს უფროსი პ. ნოვიკოვი (მარჯვენიდ), მბეჭდავი-ინსტრუქტორი ა. დაბრუნდაშვილი და მანქანის მექანიკოსი რ. ბოლოკაძე ამოწმებენ ახალმოჩითული ქსოვილის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი.

მრეწველობის ახალი ამბები

ლითონური მანგანუმი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სპეციალისტმა მეტალურგებმა გამონახეს კაზმის შედგენის ხუთეთესო ვარიანტი მაღალხარისხოვანი ლითონური მანგანუმის მისაღებად. ასეთი კაზმის წარმოებაში დანერგვით ქარხანამ მიიღო ნედლეულისა და ელექტროენერგიის საგრძნობი ეკონომია.

ლითონური მანგანუმი უძვირფასეს შენადნობად ითვლება. მას იყენებენ მაღალი მარკის ფოლადის მისაღებად.

ღვინის ქარხნებისათვის

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შეუდგენენ უწყვეტი მოქმედების საწნეხი დანადგარის სერიული გამოშვებისათვის მუშაობას. ამ დანადგარის კონსტრუქცია და სამუშაო ნახაზები შემუშავებულია ქარხანასთან შექმნილი საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ.

ასეთ დანადგარებით — ყურძნის გადასამუშავებელი ახალი ტექნიკით აღჭურვილი იქნება საქართველოს ღვინის ქარხნები.

ცემენტის ქარხანა — ყველა კოლმეურნეობას

მალე საქართველოს კოლმეურნეობებს შეეძლებლობა ექნებათ შეიძინონ სპეციალური საფქვავი დანადგარი, ე. წ. ვიბრაციული წისქვილი, რომელიც ყოველ მაგარ ნივთიერებას უაღრესად ფხვიერ მასად აქცევს. ცნობილია, რომ უაღრესად ფხვიერი კირი, ქვიშა, კირქვა და მთელი რიგი სხვა საშენი მასალები იძენენ მჭიდობის მაღალ თვისებას, შეიძლება გამოვიყენოთ ცემენტის მაგიერ. ასეთი მანქანების — ვიბრაციული წისქვილების დამზადება და სერიულად გამოშვება დაევალა თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივს, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო მუშაობას.

ვიბრაციული წისქვილი, რომელიც საბჭოთა ინჟინრების მიერ არის შექმნილი, აღვილად გადასატანი დამადგარია.

ძვირფასი საკაბე ქსოვილები

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებს დავალებული აქვთ მომავალი წლიდან ფართოდ დანერგონ ქსოვაში ახალი ტექნოლოგია, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივს დავალებული აქვს შეუდგეს ძვირფასი საკაბე ქსოვილების — კრეპ-ფაის, კრეპ-შიფონის, ნატურალური კრეპის ქსოვილების გამოშვებას. ახლა აბრეშუმის ქსოვის სპეციალისტები მუშაობენ ახალი ქსოვილების — კრეპ-თბილისის და ტრიკოტინ-ბუკლეს ათვისებაზე.

მომავალ წელს ფაბრიკა შეუდგება უკლებადი ქსოვილების (ე. ი. ისეთი ქსოვილების, რომლებიც გარეცხვისას არ მოიკლებენ) გამოშვებას.

სიახლე ჩაის მრეწველობაში

ზუგდიდის მწვანე ჩაის საწნეხ ფაბრიკაში საქართველოს სსრ ხასურსათო საჭონლის მრეწველობის სამინისტროს სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერის ი. დოლიძის ხელმძღვანელობით დაამონტაჟეს, აითვისეს და ამუშავეს მწვანე აგურა ჩაის დამზადებისათვის საჭირო ახალი ავტომატური საწარმოო ხაზი. ეს ხაზი წარმოადგენს ახალ მოწყობილობათა ნაკადურ პრინციპზე გამართულ სერიას, რომელიც შედგება ჩაის დასაჭრელი, ასაწონი, ფაფუნებისა და შესახვევ - შესაფუთავი მექანიზმებისაგან. ავტომატური ხაზის მოწყობის ავტორი და მწვანე აგურა ჩაის დამზადების ახალი მეთოდის შემქმნელია ინჟინერი ნოვაკორი მ. კოდუა.



აგურა ჩაის საწნეხი ავტომატების ხაზი

• • •

მწვანე აგურა ჩაის დამზადება ჩაის მრეწველობაში მიჩნეულია მეტად მძიმე, შრომატევად სამუშაოდ. ძველი მეთოდით აგურა ჩაის გამოშვების ყველა სამუშაო სულ ხელით სრულდებოდა.

ახალ ავტომატურ ხაზზე ხელით სამუშაოები ლიკვიდირებულია. ხაზის ძირითადი მუშაობის პრინციპი შემდეგია: მწვანე ჩაის უხეში მასალა მიდის დასაჭრელ მანქანაში, რომელიც ჩაის ღეროებსა და ფოთლებს ჭრის, აქუცმაცებს. ამ მექანიზმიდან მიმდები ბუნკერის ხაშეალებით დაჭრილი ჩაის მასალა ავტომატურად გადადის მკვებავ დოლურაში, რომელიც დაჭრილ-დაქუცმაცებულ ჩაის მასალას აწოდებს ფოტოელემენტითა და ელექტროკონტაქტით მომუშავე სასწორებს. ეს სასწორები ჩაის მასას ავტომატურად წონიან (ნახევარკილოგრამიან ცალებად) და აწოდებენ ჩაის მასის საწნეხ აგრეგატს.

საწნეხი აგრეგატი წარმოადგენს კარუსელური ტიპის მოძრავ, მრგვალ დანადგარს, რომელსაც მორგებული აქვს მწვანე აგურა ჩაის ფორმები. ავტომატური სასწორიდან აწონილი ჩაის მასალა იყრება პირველადს დამწნეხ მექანიზმში. აქ 300 ატმოსფეროს წნევით ხდება ჩაის მასალის პირველადი დაწნეხვა. შემდეგი ოპერაცია წარმოადგენს უკვე საბოლოო დაწნეხვას. დანადგარი შემობრუნდება მეოთხედი ნაწილით, ავტომატურად ჩაირთვება ზემძლავრი წნეხი, რომელიც საბოლოოდ წნეხს ჩაის მასალას. შემდეგ მექანიკურად ხდება მზა პროდუქციის ტრანსპორტირით გადაცემა შესახვევ - შესაფუთავ ავტომატზე.

აგურა ჩაიზე მოთხოვნილება განუხრელად მატულობს. მისი დამზადების ამ ახალი მეთოდის უპირატესობა ძველ მეთოდთან შედარებით ის არის, რომ ჩაის დაწნეხვა მშრალად ხდება და ჩაიხ მასის ხელოვნურად დაორთქლვა საჭიროა საჭირო აღარ არის, ამასთან ძველი მეთოდით ტექნოლოგიური ოპერაციების ციკლი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, ხოლო ახალი მეთოდით მზა შეფუთულ პროდუქციას ვღებულობთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. წინათ მზადდებოდა 2 კილოგრამის წონის აგურა ჩაი, რაც ვაჭრობის თვალსაზრისით უხერხულობას ქმნიდა, ახლა კი მზადდება ნახევარკილოგრამიანი აგურა ჩაი. წინათ აგურა ჩაის დამზადებაზე 44 კაცი მუშაობდა, ახლა 11 კაცი მუშაობს.

ინჟინერ მ. კოდუას მიერ შექმნილი ახალი ავტომატური ხაზი სახელმწიფოს ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტ მანეთ მოგებას აძლევს.

გ. სიხარულიძე,
კონსტრუქტორი.

ოსტატები რუსთავიდან

ახალგაზრდა ინჟინერი დემურ ხარაძე ავტობუსით თბილისიდან რუსთავში ბრუნდება. ფანჯარასთან ზის და გასცქერის მიდამოს. ავტობუსში ტევა არ არის.

მანქანამ გზატკეცილიდან მხარმარცხნივ იბრუნა პირი. ახლოს გამოჩნდა თხელ, გამქვირვალე ნისლში გახვეული ინდუსტრიული ქალაქი. უყვარს დემურს, როცა შორიდან, სიმაღლიდან გასცქერის დაცემულ ველზე გაშლილ თავის ქალაქს: ცადაწვდილ მილებს, მაღალ სახლებს, საამქროთა კორპუსებს, ამწეებს. იგი თვალს აყოლებს ქალაქის გასწვრივ მაღალ და დაბალ წერტილებს და მის წინ იხაზება რუსთავის კონტურები — ტეხილხაზებიანი უცნაური დიაგრამა.

მილები. მილები. მილები. დიდი და პატარა, ფართო და ვიწრო უზარმაზარი კელაპტრებივით დაყუდებულან, ცისკენ წაუგრძელებიათ კისრები, ერთავად ბოლავენ და განუმეორებელ იერს აძლევენ ინდუსტრიულ პეიზაჟს.

კვამლი! კვამლიც ხომ თავისებურად, ნაირნაირად აფერადებს რუსთავის ცას, რომელიც ყოველწუთში იცვლება. სწორედ ამ მილებმა, ნარაჩოებთან ხელგაწვდილმა ამ ამწეებმა (თუმცა მაშინ ამდენი არ იყო), სწორედ მათ უკარნახეს, გადაწყვეტინეს ჯერ ისევ მეათეკლასელ დემურ ხარაძეს მეტალურგი გამხდარიყო. იგი ხშირად დადიოდა ექსკურსიაზე რუსთავში.

მომავალი ქარხანა, მისი საამქროები, მისი ეშხი და იერი სწორედ ასეთად ესახებოდა მაშინ დემურს, როგორსაც ახლა ხედავს.

სულ რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ. ხარაძემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. „ხუთზე" დაიცვა დიპლომი. ერთი მეორეზე ამუშავდნენ საამქროები ფოლადსადნობი, ბლუმინგის, მილნამზადის, მილსაგლინავი, საბრძმედე, საადლომერაციო, კოქსქიმიური, წვრილსორტული...

ახლა თვით მას, უკვე ინჟინერს, გლინვის ოსტატს გატაცებით უსმენენ მილსაგლინავ საამქროში მოსული ექსკურსანტები. ამას წინათ მისი სკოლის ახლანდელი მოსწავლეები ეწვივნენ. გაეხარდა ოსტატს. ვინ იცის, ექსკურსიის შემდეგ დემურივით რამდენი მოსწავლე ოცნებობს მეტალურგობას.

მანქანა ქალაქის მარჯვენა ნაპირის ჭადრებისა და კედრების ხეივანში შევიდა.

ავტობუსმა ახლად აგებულ საცხოვრებელ კვარტალს ჩაუარა, ბინებში ჯერ არ ჩასახლებულან, მაგრამ შენობები ძირითადად უკვე მზად არის. ორი სხვა ახალი კვარტალის მშენებლობაც გაჩაღდა, ზოგან კედლები ამოჰყავთ, ზოგან სამირკველს ჰყრიან. ამ მშენებლობაზე რუსთავში პირველად ააგეს ოცდაერთბინიანი სახლი აგურის ბლოკებისაგან. სართულშორისო გადახურვა, კიბეები და აივნები ასაწყობი რკინაბეტონისგან გაკეთეს... სწრაფად შეიცვლის იერს რუსთავის მარჯვენა სანაპიროც.

— იცით, — მიუბრუნდა დემური გვერდით მჯდომ მგზავრს. — შარშან ახალი ჩამოსული ვიყავ რუსთავში. ოსტატის თანაშემწედ ვმუშაობდი. ერთ დღეს საქმე არა მქონდა და ქუჩაში დავსეირნობდი, ქალაქს ვეცნობოდი. ადმინისტრაციული მოედნის პარკთან შევჩერდი. პარკში ორი ბავშვი თამაშობდა. გაგონილი მქონდა, რომ იქვე, სადღაც ახლოს, მალე ახალი ქუჩა უნდა გახსნილიყო და ერთ ბავშვს ვკითხე: ბიჭუნა, მითხარი რომელია აქ ახალი ქუჩა?—კოლმეურნის,—მომაძახა და ხელიც გაიშვირა. — რას ამბობ, — წამოუხტა მეორე, — ეგ რა ახალია, ერთი თვეა გაიხსნა.— გამეცინა. — არა ძია, ახალი აი პირდაპირ არის, ვაგზლის ქუჩა.

ჰე, რა სწრაფად ძველდება ქუჩა რუსთავში მეთქი. — გავიფიქრე ჩემთვის და გავყევი პროსპექტს.

მოსაუბრე მიუხვდა, რის თქმაც უნდოდა დემურს.

ავტობუსი ახლა ხიდზე გადავიდა. პროსპექტის მარცხენა მხარის სახლების ქონგურებს მზის სხივები ეთამაშებოდნენ.

დემური ახალგაზრდა სპეციალისტების სახლში ცხოვრობს. ოთახში ორნი არიან, მისი ინსტიტუტის ამხანაგი, წვრილსორტული საამქროს გლინვის ოსტატი თენგიზ გელაძე და თვითონ.

— რა ამბავია, ყოველ კვირა თუ თბილისში არ ჩახვედი, არ იქნება? — გაეხუმრა სწოლზე წამოწოლილი თენგიზი, როცა ოთახში დემური შემოვიდა და წიგნი გვერდით გადადო. — ხომ კარგად არიან სახლში.

— რა უშავთ, კარგად, არ იცი, მშობლების ამბავი, წუწუნებენ, ხშირხშირად არ ჩამოდიხარო.

— შენი უფროსი მვალცავი იყო აქ, გივი მაღლაფერიძე, გიკითხა. რა ჩუმი, მორცხვი კაცია, ოთახში ვერ შემოვიყვანე, კისერი გვერდზე გადაიგდო, თავი ჩაღუნა, ხმა ძლივს ამოვაღებინე.

— სამაგიეროდ, აბა მუშაობაში ნახე, როგორია, ნამდვილი ცეცხლია! მართლა კარგი, გამოცდილი მვალცავია, მაგნიტოგორსკის სკოლა აქვს გავლილი, მერე კრასნი სულინის მეტალურგიულ ქარხანაში იყო. ამას წინათ მოვიდა, მეუბნება: ოსტატო, ლითონს გახურება აკლია, გამხურებლებს ცოტა შეხურება უნდაო.

შემდეგ თენგიზ გელაძე მოყვა, რომ მათთან, წვრილსორტულში, ახალი დგანის — „260"-ის გამოცდა დამთავრდა. რამდენიმე დღე იმუშავა. ახლა პროფილაქტიკას უკეთებენ, დღესასწაულის წინ საექსპლოატაციოდ გადასცემენ. დგანი გამოუშვებს სხვადასხვა დიამეტრის მავთულს.

არ ეჩქარებოდათ, ორივე მეორე ცვლაში უნდა გასულიყო და ამიტომ რაზე არ საუბრობდნენ! მილმგლინავების საქარხანათაშორისო სკოლაზე, კომკავშირულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. (ხარაძე საამქროს ბიუროს წევრად აურჩევიათ) პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ და საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაზე, მეტალურგთა კულტურის სასახლეზე.

— ახლა რომ მოვდიოდი,— თქვა დემურმა, — მოზაიკის იატაკს ხეხავდნენ მანქანით, კოხტა სასახლე აიგო. შიგ არ ვყოფილვარ, თურმე 750 ადგილიანი დარბაზი აქვს მოძრავი სცენით. სხვა დარბაზებიც ჭკონია: სალექციო, სასპორტო, სამეჯლისო ცეკვების... აი, მესმის საჩუქარი! საოქტომბროდ უკეთესს ვერაფერს ინატრებ. საზეიმო საღამო ახალ სასახლეში გაიმართება. ალბათ საოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს მისცემენ მოსაწვევ ბარათებს...

მილსაგლინავ საამქროში დგან „400"-ზე და დგან „140"-ზე ორი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა — ხარაძისა და მაზურეკის. ერთმანეთს ეჯიბრებიან. აქამდე მაზურეკისა უსწრებდა. ბოლოს ხარაძე წამოეწია, — განვლილ თვეში დავალება 107 პროცენტით აქვს შესრულებული. 26 ოქტომბერს მის ბრიგადას 60 მილი უნდა გაეგლინა და — 110 გაგლინა. ახლოვდება დღესასწაული და დღითი დღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს მილმგლინავები.

... ღამეა. ცვლიდან დაბრუნებული ოსტატები სხედან აივანზე, რომელიც ქარხანას გასცქერის და რუსთავის ღამით ტკბებიან. მუქად აღმართული მილების სილუეტები ბღუჯაბღუჯა ცეცხლს აფრქვევენ. ღუმელივით ვარვარებს მარტენის მთელი საამქრო. საკოქსე ბატარეების ალის ენები სერავენ სივრცეს.

მოწმედ ნდილია, ნათელია რუსთავის ზეცა.

ს. ხარაზიშვილი,
გ. გელაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხის განხილვა

ჟენევა, 3 ნოემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). გუშინ მეხუთე სხდომაზე საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები განაგრძობდნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის — ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხის განხილვას.

ბ. მაკმილანმა, რომელიც პირველი გამოვიდა, განაცხადა, რომ ევროპის უშიშროების შესახებ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ვ. მ. მოლოტოვმა წინა სხდომაზე წარმოადგინა, ეხება თითქმის ყველა საკითხს, რომლებსაც შეიცავენ დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე.

ბ. მაკმილანმა ამასთან ერთად აღნიშნა არსებითი განსხვავებანი, რომლებიც, მისი სიტყვით, არსებობს თათბირის განსახილველად წარმოდგენილ ორ გეგმას შორის. ეს განსხვავებანი, ბ. მაკმილანის აზრით, ის არის, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი ემყარებიან იმ ძირითად წანამძღვარს, რომ საჭიროა გერმანიის გაერთიანება, ხოლო საბჭოთა წინადადებანი „თითქოს უგულებელყოფენ ამ ამოცანას და ემყარებიან გერმანიის გაყოფას“.

შეეხო რა ევროპის უშიშროებას შესახებ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის მე-8 მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ხელშეკრულებას დროებითი ხასიათი აქვს და ამოქმედებს მანამდე, სანამ არ შეიცვლება მეორე, უფრო ფართო ხელშეკრულებით ევროპის უშიშროების შესახებ, რომელიც შეცვლის არსებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს“, მაკმილანმა განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია არ ეწინააღმდეგება მე-8 მუხლს. მაგრამ მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ინგლისის დელეგაციის აზრით, ევროპის უშიშროება უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ ნატო და დასავლეთ ევროპის კავშირი ხელუხლებელნი დარჩენ.

შემდეგ ევროპის უშიშროების საკითხზე ვ. მ. მოლოტოვის განცხადებისა და ევროპის უშიშროების ხელშეკრულების მის მიერ შეტანილი პროექტის გამო შენიშვნები გააკეთეს ჯ. დალესმა და ა. პინემ.

მე მიმაჩნია, თქვა ჯ. დალესმა, რომ დღის წესრიგის პირველი პუნქტის პირველი ნახევრის შესახებ, ე. ი. უშიშროების საკითხის შესახებ დისკუსიას მოჰყვა ჩვენი პოზიციების მნიშვნელოვანი დაახლოება.

დალესის სიტყვით, დაახლოება იმით გამოიხატება, რომ უშიშროების საკითხებზე დასავლეთის სახელმწიფოების წინადადებათა I მუხლი მოგვაგონებს უშიშროების შესახებ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის I მუხლს და რომ აგრესორისათვის დასმარებაზე უარის თქმის პრინციპს შეიცავს ორივე წინადადება. ორივე წინადადებისათვის საერთოა, თქვა მან, ავრეთვე აზრი ზონას დაწესების შესახებ, რომელშიც გამოიყენებენ განსაკუთრებულ ღონისძიებებს, აზრი იმის შესახებ, რომ ამ ზონაში დაწესდეს შეიარაღებული ძალების ფარგლები და ურთიერთინსპექცია, აზრი კონსულტაციების, კოლექტიური თავდაცვის უფლების აღიარებისა და იმის შესახებ, რომ ერთი მხარის მოთხოვნით მეორე მხარემ უნდა გიიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები, აგრესიისადმი წინააღმდეგობის პრინციპი, თუმცა როგორც დალესმა აღნიშნა, ამ პრინციპების ფორმულირება ყოველთვის როდია იდენტური.

მაგრამ, განაცხადა დალესმა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ რაიმე წარმატებას იმაში, რაც ღღის წესრიგის პირველი პუნქტის მეორე ნახევარს, სახელდობრ გერმანიის გაერთიანებას შეეხება. ისევე როგორც მაკმილანმა, დალესმა მოითხოვა, რომ საბჭოთა კავშირმა წარადგინოს თავისი წინადადებანი ღღის წესრიგის პირველი პუნქტის მეორე ნაწილის შესახებ.

ა. პინემ მხარი დაუჭირა ამ სურვილს. მან თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა და საბჭოთა კავშირის პოზიციებს შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს თეზისს, რომლის თანახმად გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა და აღმოსავლეთი გერმანია უნდა იყვნენ უშიშროების სისტემის მონაწილენი, მაშინ როდესაც დასავლეთის სახელმწიფოები ვერ დაეთანხმებიან იმას, რომ ევროპის უშიშროებას არ დაედოს საფუძვლად გერმანიის გაერთიანება.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა.

თავისი განცხადების დასაწყისში მოლოტოვმა გაიზიარა დალესის აზრი იმის შესახებ, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე აზრების მიმხდარ ურთიერთგაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბ-ნმა დალესმა, აღნიშნა ვ. მ. მოლოტოვმა, აგრეთვე თქვა, რომ დადებითი შეფასება, რაც მან მისცა ჩვენ მიერ პირველ დღეებში გაწეული მუშაობის შედეგებს, იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი ფიქრობდეს, რომ ჩვენ შეეთანხმდით ყველა საკითხში. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანი ასეთივე აზრისაა.

კარგი იქნებოდა შეეთანხმებულიყავით მთავარ და არა მარტო ცალკეულ პუნქტებზე, რადგან საქმეს ეს წყვეტს. კარგი იქნებოდა შეკითხვებულიყავით იმაზე, რომ არც ერთმა ჩვენგანმა არ დაისახოს ისეთი მიზნები, რომელიც არის გაერთიანებული გერმანიის რემილიტარიზაცია და სამხედრო დაჯგუფებაში მისი შეყვანა, რამდენადაც ეს ძირეულად ეწინააღმდეგება საქმის თვით საფუძველს — ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანას.

როგორც საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, იმ გარემოებამ, რომ თათბირზე გერმანიის საკითხის განხილვის დროს არ არიან გერმანელი ხალხის წარმომადგენლები, არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ამ პრობლემის განხილვის მთელ მსვლელობაზე.

შემდეგ მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის მდგომარეობის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მთავარია ევროპის უშიშროების საკითხი, ხოლო გერმანიის საკითხი, რომლის მნიშვნელობას ჩვენ სულაც არ ვამცირებთ, არის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხისადმი დაქვემდებარებული კერძო საკითხი.

არ შეიძლება დავუშვათ, თქვა მან, რომ გერმანიის ბედიღბალი კვლავ იმ ძალების ხელში აღმოჩნდეს, რომლებმაც ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ორჯერ გააჩაღეს ომი ევროპაში.

ევროპის სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ყველაზე მეტად დაუბარალა ჰიტლერულმა აგრესიამ, ევროპის უშიშროების მოთხოვნა მთავარი და გადამწყვეტი მოთხოვნაა გერმანიის მომავლის საკითხის განხილვის დროს.

მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ევროპის უშიშროების საკითხს ომისათვის კი არ აყენებს, რომ თავიდან მოიშოროს იგი, არამედ იმისათვის, რომ ნამდვილად გამონახოს ისეთი გზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროპის ხალხთა ნამდვილ უშიშროებას.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, ნაცვლად ერთმანეთისათვის დაპირისპირებული სამხედრო დაჯგუფებებისა, უზრუნველყოფს ევროპის ყველა ხალხის უშიშროებას, ხელს შეუწყობს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და სახელმწიფოთა შორის ნდობას დამყარებას.

ამ მიზნის, აღნიშნა მოლოტოვმა, შეესაბამება საბჭოთა კავშირის მეორე წინადადებაც, რომელიც თათბირის განსახილველად შეტანილია 31 ოქტომბერს, წინადადება ევროპის უშიშროების ხელშეკრულების დადებისა და ევროპაში შეიარაღების შეზღუდვის ზონის შექმნის შესახებ. თავდაპირველად ევროპის ნაწილისათვის ხელშეკრულების დადება შეიძლება წარმოადგინდეს იმის საფუძველს, რომ შემდეგში შეიქმნას სრულიად ევროპის უშიშროების სისტემა ფილიალიზებულ იქნას არსებული სამხედრო დაჯგუფებანი.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გააკეთა შენიშვნები სამი სახელმწიფოს პროექტის გამო, რომელსაც უპირისპირებენ საბჭოთა მთავრობის წინადადებებს.

მან უარყო მტკიცება იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირის წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის 31 ოქტომბრის წინადადება იწვევენ გერმანიის „გათიშვის განმტკიცებას“.

თუ ფაქტების ნიადაგზე დავდგებით, თქვა მოლოტოვმა, ცხადი გახდება, რომ სწორედ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი ევროპის უშიშროების შესახებ ითვალისწინებენ გერმანიაში რეალურად შექმნილ მდგომარეობას.

მდგომარეობა კი, როგორც ცნობილია, ისეთია, რომ არსებობს ორი დამოუკიდებელი სუვერენული გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ამასთან მათ აქვთ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემა. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ დასავლეთ გერმანიის განვითარება მიდის რემილიტარიზაციის გზით და რომ პარიზის შეთანხმებათა შესაბამისად იგი ჩაბმულია დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში. საკითხავია, ასეთ პირობებში ვინ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დგას — ის, ვინც ანგარიშს უწევს რეალურ ფაქტებს და ვინც გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას უკავშირებს მათს აქტიურ მონაწილეობას, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საერთო საქმეში, თუ ის, ვინც ლაპარაკობს ევროპის უშიშროების შესახებ ამა თუ იმ შეთანხმებაში გაერთიანებული გერმანიის მონაწილეობაზე, რომელიც, დღეს ჯერ კიდევ არ არსებობს? ძნელი არ არის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან დღევანდელ პირობებში ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის დაკავშირება გაერთიანებულ გერმანიასთან, რომელიც ჯერ არ არსებობს, ნიშნავს იმას, რომ ფაქტიურად მოიხსნას ევროპის უშიშროების სისტემის ორგანიზაციის საკითხი, რასაც არ შეიძლება დავეთანხმოთ. მოლოტოვმა შემდეგ ცხადყო იმ მოსაზრების უსაფუძვლობა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა პროექტი თითქოს შეესაბამება ევროპის უშიშროების ინტერესებს და თითქოს საბჭოთა კავშირის უშიშროების რაღაც გარანტიებსაც კი იძლევა.

ის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, განაცხადა მოლოტოვმა, შეიძლება შევაჯამოთ ასე: თუ გსურთ, რომ ხელი მოვაწეროთ ამა თუ იმ ხელშეკრულებას ევროპის უშიშროების შესახებ, თქვენ უნდა მიიღოთ ჩვენი პირობები გერმანიის შესახებ, ესე იგი დაეთანხმოთ გაერთიანებული გერმანიის რემილიტარიზაციას და მის შეყვანას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რომელიც, როგორც ცნობილია, მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ. და ამას უწოდებენ საბჭოთა კავშირისათვის უშიშროების გარანტიების მიცემას!

საბჭოთა დელეგაციის მეთაური შემდეგ შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას.

აღნიშნა რა ორ გერმანულ სახელმწიფოში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების არსებობა, მოლოტოვმა განაცხადა, რომ გერმანიის საკითხი ისე უნდა გადაიჭრას, რომ გამორიცხოს ორივე სახელმწიფოს ისეთი დაახლოების გზები ევროპის უშიშროების ფარგლებში, რომელსაც მოჰყვება გერმანიის როგორც შეიარაღებისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობა.

ჩვენ, თქვა მოლოტოვმა, მხარს ვუჭერთ გერმანიის გაერთიანებას და სრულიად გერმანიის თავისუფალ არჩევნებს. დარწმუნებული ვართ, რომ დადგება დრო სრულიად გერმანიის არჩევნებისათვისაც. მაგრამ დღეკანდელ პირობებში არჩევნების საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობისაგან იზოლირებულად. შეეხო რა გერმანიის გაერთიანების გზებს, მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა: ახლანდელ პირობებში გერმანიის პრობლემის გადაჭრა და გერმანიის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის, ევროპაში დამაბულობის შემდგომი შენელების და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნამდვილი დაახლოებისა და თანამშრომლობის განვითარების განმორიელების გზით.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა გთვალისწინებულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას.

აღნიშნა რა ორ გერმანულ სახელმწიფოში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების არსებობა, მოლოტოვმა განაცხადა, რომ გერმანიის საკითხი ისე უნდა გადაიჭრას, რომ გამორიცხოს ორივე სახელმწიფოს ისეთი დაახლოების გზები ევროპის უშიშროების ფარგლებში, რომელსაც მოჰყვება გერმანიის როგორც შეიარაღებისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობა.

ჩვენ, თქვა მოლოტოვმა, მხარს ვუჭერთ გერმანიის გაერთიანებას და სრულიად გერმანიის თავისუფალ არჩევნებს. დარწმუნებული ვართ, რომ დადგება დრო სრულიად გერმანიის არჩევნებისათვისაც. მაგრამ დღეკანდელ პირობებში არჩევნების საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობისაგან იზოლირებულად. შეეხო რა გერმანიის გაერთიანების გზებს, მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა: ახლანდელ პირობებში გერმანიის პრობლემის გადაჭრა და გერმანიის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის, ევროპაში დამაბულობის შემდგომი შენელების და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნამდვილი დაახლოებისა და თანამშრომლობის განვითარების განმორიელების გზით.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა გთვალისწინებულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შეუძლია დაიმოს თავისი დემოკრატიული და სოციალური გარდაქმნები და რომ გერმანიის გაერთიანებისას სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ინტერესები.

აღნიშნა რა, რომ გერმანიის პრობლემის მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავრეთვე ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას გერმანიის ორივე ნაწილთან — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, მოლოტოვმა დამატებით მოაგონა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დამყარებულია დიპლომატიური ურთიერთობა. ეს გზები, შენიშნა მოლოტოვმა, დახშული არ არის დასავლეთის სამი სახელმწიფოსათვისაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ.

გერმანიის ორი ნაწილის დაახლოება და გერმანიის გაერთიანება, განაცხადა მოლოტოვმა, უწინარეს ყოვლისა თვითონ გერმანელების საქმეა. ამასთანავე ოთხ სახელმწიფოს შეუძლია ახლავე განახორციელონ მთხზე დამოკიდებული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ შეიქმნას ხელსაყრელი პირობები გერმანიის პრობლემის გადასაჭრელად.

ასეთ ღონისძიებებად საბჭოთა მთავრობას მიაჩნია ის, რომ უცხო სახელმწიფოებმა სამი თვის ვადაში გაიყვანონ გერმანიის ტერიტორიიდან თავიანთი ჯარები თავიანთ ეროვნული საზღვრების ფარგლებში და გერმანიაში დატოვონ მხოლოდ ზუსტად შეზღუდული კონტინგენტები. ამასთანავე ევროპის უშიშროების ინტერესებისათვის და გერმანიის ორ ნაწილს შორის დაახლოებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად შეიძლებოდა ახლავე შეკავშირებულიყავით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შეიარაღებულ ფორმირებათა რაოდენობრივი შემადგენლობის შეზღუდვის შესახებ ამ რესპუბლიკებთან შეთანხმებით.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მხარი დაუჭირა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვაში გთვალისწინებულ წინადადებას სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნის შესახებ. მან თათბირის განსაზღვრულად შეიტანა საბჭოთა მთავრობის შესაბამისი წინადადება, რომლის ტექსტიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის ამ ნომერში.

შემდეგ სიტყვა აიღო ჯ. დალესმა. მან კვლავ აღნიშნა, რომ შესაძლებელია მიღწეულ იქნას შეთანხმება უშიშროების საკითხზე, თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება გერმანიის გაერთიანების საკითხებზე.

შეეხო რა საბჭოთა წინადადებას სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნაზე, დალესი ამტკიცებდა, რომ ეს წინადადება „არა მარტო პრაქტიკული არ არის, არამედ აშკარა გადახვევაა მოცემული დირექტივებიდან“.

დალესმა დასძინა, რომ მას იმედი აქვს, რომ საბჭოთა დელეგაცია წამოაყენებს თავის წინადადებებს გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხზე, ან დაეთანხმება დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებას.

ა. პინემ, განაცხადა რა, რომ არ ჰქონდა დრო გულდასმით შეესწავლა საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი, ის აზრი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებათა მიზანი თითქოს იყოს თავს მოაბეზოონ გერმანელ ხალხს გარკვეული ხასიათის ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური წყობილება, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოები თითქოს მხოლოდ ამას ცდილობდნენ, რომ ბოლო მოეღონ მერყეობას ევროპაში გერმანიის გათიშვის ლაკვიდაციის გზით.

შემდეგ გამოვიდა ბ. მაკმილანი. მან აღნიშნა, რომ ყველა თანახმაა გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფო შეიქმნას თავისუფალი არჩევნების შედეგად. მაგრამ ეს, განაცხადა მან, უნდა განხორციელდეს არა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის შეთანხმების საფუძველზე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა დელეგაცია, არამედ თავისუფალი არჩევნების გზით.

განაცხადა რა, რომ იმ საკითხზე, რომელიც უშიშროებას ეხება, საბჭოთა დელეგაციის მეორე წინადადება ითვალისწინებს დასავლეთის სახელმწიფოთა თვალსაზრისებს, მაკმილანმა სურვილი გამოთქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციასთან დაახლოვების გზას დაადგეს გერმანიის გაერთიანების, თავისუფალი არჩევნებისა და გერმანიის დამოუკიდებელი მთავრობის არსებობის საკითხშიც.

ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია ცნობად იღებს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების განცხადებას, რომ ისინი მზად არიან შეისწავლონ საბჭოთა წინადადება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მოაგონა სხდომას, რომ მის განცხადებაში საკმაოდ ნათლად იყო გამოთქმული თვალსაზრისი, რომ საბჭოთა კავშირი სრულიად გერმანიის არჩევნების მომხრეა.

ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მთავრობათა მეთაურების დირექტივების შესაბამისად გერმანიის საკითხის გადაჭრა და გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საშუალებით უნდა განხორციელდეს არა ყოველგვარ პირობებში, არამედ გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად.

მოლოტოვმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ სამი მინისტრი სრულიად არ შეხებია საბჭოთა დელეგაციის კონკრეტულ წინადადებას იმის შესახებ, რომ ხელი შეუწყონ ორივე გერმანელი სახელმწიფოს დაახლოების საქმეს და იმას, რომ ამ მიზნით განხორციელდეს სრულიად გერმანიის ორგანოს შექმნის ამოცანა. ჩვენ ყველანი, თქვა მოლოტოვმა, აღვნიშნავთ ჩვენი პოზიციების დაახლოებას იმ საკითხში, რომელსაც ამჟამად განვიხილავთ. მაშ რატომ არ უნდა დავაახლოოთ ჩვენი პოზიციები ისეთ საკითხშიც, რომელიც პირველი ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ მოვამზადოთ რეალური და არა დეკლარაციული, უბრალო დაპირებებზე დამყარებული გაერთიანება გერმანიისა. უცნაურია, რომ აქ ყოველთვის იმოწმებენ იმის სურვილს, რომ გერმანელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი ნება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომღა გვეშინია მოვუსმინოთ ჩვენს თათბირზე გერმანელი ხალხის წარმომადგენლებს...

მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ეთანხმება დალესის, პინესა და მაკმილანის აზრს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოების პოზიციები მთელ რიგ პუნქტებში დაახლოვდა, და დასასრულ იმედი გამოთქვა, რომ, როცა დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციები უფრო დაწვრილებით გაეცნობიან საბჭოთა წინადადებებს, ისინი შეძლებენ მეტი თანაგრძნობით მოეკიდონ ამ წინადადებებს და მაშინ პოზიციების დაახლოება უფრო ფართო გაზდება და კიდევ უფრო მეტ პრაქტიკულ შედეგს მოიტანს.

სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნის შესახებ

(საბჭოთა მთავრობის წინადადება)

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით ხელი შეუწყონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას და იმ პირობების შექმნას, რომ გერმანიის საკითხი გადაიჭრას და გერმანია გაერთიანდეს თავისუფალი არჩევნების საშუალებით გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები აცხადებენ შემდეგს:

ახლანდელ პირობებში, როცა გერმანელი ხალხი მოკლებულია შესაძლებლობას ცხოვრობდეს ერთიან სახელმწიფოში, სულ უფრო დაბეჯითებით არის საჭირო მოწესრიგდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თანამშრომლობა, რომელიც გააადვილებს გერმანიის ეროვნული გაერთიანების ამოცანის გადაჭრას. ამ მიზნის შესაბამისი იქნებოდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთშეთანხმების გზით შეიქმნას სრულიად გერმანიის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ამ რესპუბლიკების ღონისძიებათა კოორდინაციას გერმანელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დარგში, აგრეთვე იმ მხრივ, რომ თანამშრომლობა დაამყარონ სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გერმანელი ხალხის ასეთი წარმომადგენლობითი ორგანო შეიძლებოდა ყოფილიყო სრულიად გერმანიის საბჭო, რომელიც შეიქმნება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

1) სრულიად გერმანიის საბჭო იქმნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პარლამენტების წარმომადგენლებისაგან როგორც საკონსულტაციო ორგანო, რათა განიხილოს საკითხები, რომელთა გადაჭრითაც დაინტერესებული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა.

2) სრულიად გერმანიის საბჭოსთან იქმნება იმ საკითხთა შერეული კომიტეტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ეხება ორივე გერმანული სახელმწიფოს ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას, აგრეთვე გერმანული ვალუტისა და გერმანიის შიდა ფინანსური ანგარიშსწორების, საბაჟო საქმეების, ფოსტისა და ტელეგრაფის, კომუნიკაციებისა და სხვა საკითხების კომიტეტები.

3) სრულიად გერმანიის საბჭო ახორციელებს იმ საკითხების შეთანხმებას, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფორმირებათა რიცხვთან, შეიარაღებასა და დისლოკაციასთან.

4) სრულიად გერმანიის საბჭო ახორციელებს იმ საკითხთა შეთანხმებას, რომლებიც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მონაწილეობას ევროპის უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებში, და ურთიერთშეთანხმებით განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ შეიქმნას წინამძღვარები გერმანიის, როგორც შეიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, გაერთიანებისათვის.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები იმედს გამოთქვამენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა მიაღწიონ შეთანხმებას სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნის საკითხზე.

დედაქალაქის მოსახლეობისაფვის

დღესასწაულის წინა დღეებში დიდი გამოცოცხლებაა დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში. მომხმარებლები ყოველდღე ხარაგით დატვირთულნი ბრუნდებიან ბაზრიდან შინ. თბილისის მშრომელები ყიდულობენ ღვინოს, ხორცს, ქათმებს, ოვეებს, ხილს, ბოსტნეულს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ისინი ემზადებიან იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის საზეიმო დღეებში თავიანთ ოჯახებში ლამაზი, უხვი სუფრა გაშალონ.

უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაიზარდა რაიონებიდან პროდუქტების შემოზიდვა. საკოლმეურნეო ბაზრებში ორგანიზებულად შემოდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანების კოლონები. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა წელს ბარაქიანი მოსავალი აიღეს და ახლა ისინი თბილისის მშრომელებს გულუხვად სთავაზობენ თავიანთი ბეჯითი შრომის ნაყოფს.

გუშინ მარნეულის რაიონის 30 კოლმეურნეობამ დედაქალაქში გასაყიდად ორგანიზებულად შემოიტანა 8 ტონა ხორცი, 25 ტონა კარტოფილი, 160 ტონა ბოსტნეული, 38 ტონა სიმინდი, ხორბალი და ქერი, 3,5 ტონა რძის ნაწარმი, 2.800 ფრთა ფრინველი, 7.300 ცალი კვერცხი. 60 ავტომანქანა. საგან შემდგარი კოლონა, რომელიც მორთული იყო დროშებითა და პლაკატებით, დღის 12 საათზე შემოვიდა ქალაქში. კოლმეურნეობები სადღესასწაულო ბაზრობაზე ჩამოტანილ პროდუქტებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ყიდიან.

გაცხოველებული ვაჭრობა გაიმართა კიროვის რაიონის დახურულ ბაზარში, სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში და დედაქალაქის სხვა საკოლმეურნეო ბაზრებში, სადაც ბევრ და მრავალი სახის პროდუქტებს ყიდიან მარნეულის რაიონის ლენინის, სტალინის, ბოლნისის, ხრუშოვის, მალენკოვის, ვოროშილოვის, დიმიტროვისა და ჟდანოვის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობები.

• • •

სურათზე: სადღესასწაულო ბაზრობაზე ჩამოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთული მარნეულის რაიონის კოლმეურნეობათა ავტომანქანების კოლონა სტალინის სახელობის სანადირო ქუჩით მიემართება დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებისაკენ.

ფოტო შ. გოჭაძისა.

მხატვრული თვითმოქმედების ზეიმი

ბათუმი. (საკ. კორ.). მხატვრული თვითმოქმედების საოლქო დათვალიერებამ, რომელიც ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, ცხადყო, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად ამაღლდა თვითმოქმედი კოლექტივების მხატვრული ოსტატობის დონე, უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა მათი რეპერტუარი.

დათვალიერება გახსნა ქობულეთის რაიონის მასწავლებელთა თვითმოქმედმა კოლექტივმა, რომლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. მასწავლებელთა თვითმოქმედი კოლექტივი შეცვალა ოჩამჩირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ნ. სანადირაძე). გუნდმა კარგად შეასრულა სიმღერა „მადლობა პარტიას“, რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერები.

დათვალიერებაზე შინაარსიანი პროგრამით წარსდგა ქობულეთის რაიონის კულტურისა და მედიცინის მუშაკთა თვითმოქმედი კოლექტივი.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი ა. ჯორბენაძე) კარგად შეასრულა „საკოლმეურნეო ახალგაზრდული“, „საბჭოთა პატრიოტების მარში“ და სხვ.

ვრცელი პროგრამით გამოვიდა ქედის რაიონის მუშამოსამსახურეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელები შ. დარჩია და უ. ბერაძე). გუნდმა მოხდენილად შეასრულა „სიმღერა ლენინზე“, „სტალინის საქმეს დიდება“.

მაყურებლებმა ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვეს ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლის მუშაკთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი მასწავლებელი ო. მახარაძე).

საინტერესო იყო დათვალიერების მეორე საღამოს წესრულებული სიმღერები და ცეკვები. წარმატება ხვდა ხელიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის თვითმოქმედ კოლექტივს, რომელმაც ოპერეტტურად შეასრულა რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერები. კარგად გამოვიდა ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი დ. მეგანაძ